www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2026 წლის იანვარი - მარტი

30.04.2026
www.geostat.ge

30.04.2026

ინფორმაცია მშენებლობაზე[1] გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ 2026 წლის იანვარი - მარტი

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2026 წლის იანვარ-მარტში გაცემულია 2 472 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.8 პროცენტით მეტი) 2 367.6 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.6 პროცენტით ნაკლები). ნებართვების თითქმის სამი მეოთხედი ნაწილი მოდის ქვეყნის ოთხ რეგიონზე, კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 48.7 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 10.1 პროცენტი — ქვემო ქართლის რეგიონზე, 7.8 და 7.8 პროცენტი კი — კახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2026 წლის იანვარი-მარტი



აღსანიშნავია, რომ 2026 წლის იანვარ-მარტში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

[1] იგულისხმება როგორც ახალი მშენებლობა, აგრეთვე რეკონსტრუქცია

2026 წლის იანვარ-მარტში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 722.5 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.5 პროცენტით მეტი) 683 ობიექტი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.1 პროცენტით ნაკლები).

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების ორ მესამედზე მეტი მოდის ქვეყნის ოთხ რეგიონზე, კერძოდ, 31.8 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 13.8 პროცენტი — მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 12.3 პროცენტი — ქვემო ქართლის რეგიონზე და 10.7 პროცენტი — კახეთის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2026 წლის იანვარი-მარტი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geosat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge